

## განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების სააგენტო (ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი #144) აცხადებს საერთაშორისო ტენდერს **2010** წლის სამედიცინო მომსახურების სხვა სახელმწიფო პროგრამების ბავშვთა სამედიცინო მომსახურების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში სამედიცინო მომსახურების შესყიდვის მიზნით და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. შესყიდვის ობიექტია:

I ლოტი: იშვიათი დაავადებების მქონე, მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებული, მშობელთა მზრუნველობას მოკლებული, **18** წლამდე ასაკის ბავშვთა სტაციონარული მომსახურება;

II ლოტი: ახალშობილთა და ბავშვთა სკრინინგი ჰიპოთირეოზზე, ფენილკეტონურიაზე და ჰიპერფენილალანინემიაზე;

III ლოტი: ონკოჰემატოლოგიური დაავადებების მქონე **18** წლამდე ასაკის ბავშვთა ამბულატორიული და სტაციონარული მკურნალობა.

შესყიდვის სავარაუდო ღირებულებაა:

I ლოტი – **295 036.66** (ორას ოთხმოცდათხუთმეტი ათას ოცდათექვსმეტი ლარი და **66** თეთრი) ლარი, მათ შორის **2010** წლის დეკემბერი – **54 166.66** (ორმოცდათოთხმეტი ათას ას სამოცდაექვსი ლარი და **66** თეთრი) ლარი;

II ლოტი – **285 112.33** (ორას ოთხმოცდახუთი ათას ას თორმეტი ლარი და **33** თეთრი) ლარი, მათ შორის **2010** წლის დეკემბერი – **33 333.33** (ოცდაცამეტი ათას სამას ოცდაცამეტი ლარი და **33** თეთრი) ლარი;

III ლოტი – **482 573.12** (ოთხას ოთხმოცდაორი ათას ხუთას სამოცდაცამეტი ლარი და **12** თეთრი) ლარი, მათ შორის **2010** წლის დეკემბერი – **106 166.66** (ასექვსი ათას ას სამოცდაექვსი ლარი და **66** თეთრი) ლარი.

3. მომსახურების გაწევის ვადაა **2010** წლის **16** აგვისტოდან **2010** წლის **31** დეკემბრის ჩათვლით.

4. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია ქართულ ენაზე. მონაწილეობის მსურველ პირებს სატენდერო დოკუმენტაციის მიღება შეეძლებათ **2010** წლის **9** აგვისტოს **18** საათამდე, მას შემდეგ, რაც გადაიხდიან **150** ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებელს შემდეგ ანგარიშზე: სახაზინო სამსახურის ერთიანი ანგარიშის #**200122900**, სახელმწიფო ხაზინა, კოდი **220101222**, სახაზინო კოდი **302003174**, გადახდის დანიშნულება – სატენდერო მოსაკრებელი, ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების სააგენტო. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს შეეძლებათ შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი #**144**, მე-3 სართული, ოთახი #**301**.

5. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება (ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად) უნდა წარმოადგინონ არაუგვიანეს **2010** წლის **10** აგვისტოსი, **10**-დან **13** საათამდე, მას შემდეგ, რაც გადაიხდიან სატენდერო წინადადების წარდგენის საფასურს, **50** ლარის ოდენობით, შემდეგ ანგარიშზე: მიმღების ბანკი – ს/ს ბანკი „რესპუბლიკა“, ცენტრალური ფილიალი. ბანკის კოდი **220101757**. მიმღები – სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო. მიმღების ანგარიშის #**10591718543**.

პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება უნდა წარმოადგინონ შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი #**144**, მე-2 სართული, ოთახი #**207**.

დაგვიანებით შემოსულ სატენდერო წინადადებებს სატენდერო კომისია არ განიხილავს და გაუხსნელად უბრუნებს წარმომდგენ პირებს.

**6.** საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**6.1.** იურიდიული პირისათვის:

ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საიდენტიფიკაციო კოდი, საბანკო რეკვიზიტები);

ბ) სამეწარმეო რეესტრის ამონაწერი (საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);

გ) ცნობა, რომ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმისწარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას სასამართლოდან რეგისტრაციის ადგილის მიხედვით – თბილისის ან ქუთაისის საქალაქო სასამართლოდან).

**6.2** ფიზიკური პირისათვის:

ა) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ქსეროასლი;

ბ) დოკუმენტი გადასახადის გადამხდელად დარეგისტრირების შესახებ (საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურიდან);

გ) ცნობა, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმისწარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას სასამართლოდან რეგისტრაციის ადგილის მიხედვით – თბილისის ან ქუთაისის საქალაქო სასამართლოდან).

**6.3** დამატებითი მოთხოვნები როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:

ა) დაწესებულების სალიცენზიო მოწმობა და/ან ცნობა იმის თაობაზე, რომ დოკუმენტაცია კონკრეტული საქმიანობების მიხედვით შესაბამისობაშია მოყვანილი მოქმედ კანონმდებლობასთან;

ბ) ინფორმაცია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ;

გ) ინფორმაცია პერსონალის კვალიფიკაციის თაობაზე და დაწესებულების ხელმძღვანელის წერილობითი ვალდებულება იმის შესახებ, რომ სათანადო პერსონალი სერტიფიცირებულია კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

**7.** ყველა საკვალიფიკაციო მონაცემი წარმოდგენილი უნდა იქნას ერთი ეგზემპლარი ორიგინალის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით, დანარჩენი 2 ეგზემპლარი ქსეროასლის სახით.

**8.** მე-6 პუნქტში მითითებული საკვალიფიკაციო მონაცემები უცხო ქვეყნის იურიდიული ან ფიზიკური პირის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნას შესაბამისი ქვეყნის სათანადო ორგანოდან, დადგენილი წესით დამოწმებული თარგმანის სახით.

**9.** ტენდერში მონაწილეობის მსურველს უფლება აქვს მიიღოს ტენდერში მონაწილეობა ქვეკონტრაქტორთან ერთად, იმ პირობით, რომ ქვეკონტრაქტორიც გაივლის საკვალიფიკაციო შეფასებას ზემოთ აღნიშნული მოთხოვნების გათვალისწინებით.

**10.** განცხადების **6.1.** და **6.2.** პუნქტებში მითითებული ცნობები გაცემული უნდა იყოს ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადების გამოქვეყნების შემდეგ.

**11.** პრეტენდენტებს უფლება აქვთ წარმოადგინონ როგორც ძირითადი, ისე ალტერნატიული სატენდერო წინადადება (წინადადებები).

**12.** ტენდერის თითოეულ ლოტში გამოვლინდება ერთი გამარჯვებული.

**13.** ტენდერში გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის (სატენდერო წინადადების 1%-ის ოდენობით) და ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის (ხელშეკრულების 2%-ის ოდენობით) მექანიზმი, საბანკო გარანტიის ან სადაზღვევო კომპანიის მიერ გაცემული გარანტიის სახით.

**14.** ტენდერში მონაწილეობის მსურველ პირებს სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე, შეუძლიათ გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას მისამართზე: ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების სააგენტო, ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი #144, მე-3 სართული, ოთახი #301.

**15.** ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადების **6.1.** პუნქტის `ა` ქვეპუნქტით განსაზღვრული მოთხოვნა შემდგომ დაზუსტებას/შეცვლას არ ექვემდებარება.

**16.** დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან – სატენდერო კომისიის აპარატის წევრები: ალექსანდრე მამალაძე, ლალი დევიძე, გულსუნდა ონიანი ტელ.: **144983**, მისამართზე: ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების სააგენტო, ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი #**144**, მე-**3** სართული, ოთახი #**301**.

სატენდერო კომისია